**გაზეთი ღირს**

| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 **საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი** 1877—1891



კვირას, 22 დეკემბერს

ტფილისის კლუბის დარბაზში დანიშნულია „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ სასარგებლოდ

## კონცერტი

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ფლამ-ვანდერიკი, მ. ილიაშენკო და მ. ძნელაძისა და ბ-ნნი: ბუში, კნინა, ოპოჩინინი, პახომოვი და აბაშიძე

დასაწყისი საღამოს 8 საათზე

**კონცერტის შემდეგ ცეკვა**

ბილეთები ისყიდება კლუბის შვეიცართან.

---

## ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1892 ГОДЪ

НА ГАЗЕТУ

## „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

**(девятый год изданія)**

Въ 1892 г. „Новое Обозрѣніе“ будетъ выходить въ Тифлисѣ, какъ и въ прошлые годы, ежедневно, по программѣ газеты литературной, общественной и политической.

**Условія подписки**: съ пересылкою и доставкою: на годъ 10 р., на полгода—6 р., на три мѣсяца—3 р. 50 к., на одинъ мѣсяцъ—1 р. 50. За границу: на годъ—17 р., на полгода—9 р., на три мѣсяца—5 р. (Подписка принимается не иначе, какъ считая съ перваго числа любого мѣсяца).

**Для годовыхъ подписчиковъ** какъ городскихъ, такъ и иногородныхъ, обращающихся непосредственно въ контору редакціи, **ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА** на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится—3 р., къ 1-му марта—2 р., къ 1-му мая—3 р., и къ 1-му сентября—2 р.

Подписка и объявленія принимаются:

а) **ВЪ ТИФЛИСѢ**: въ конторѣ газеты, Головинскій проспектъ, домъ Читахова, № 12.

б) **ВЪ ОТДѢЛЕНІЯХЪ КОНТОРЫ**:

1) **ВЪ БАКУ—при аптекарскомъ магазинѣ И. Г. Чубинова**, на Михаиловской улицѣ, домъ Мирза-Авакова и Карабегова.

2) **ВЪ КУТАИСѢ—при книжномъ магазинѣ братьевъ Чиладзе**, на Тифлисской улицѣ, противъ собора, въ собств. домѣ.

3) **ВЪ БАТУМѢ—при книжно-газетномъ агентствѣ М. Николадзе.**

в) **У АГЕНТОВЪ КОНТОРЫ**:

1) **ВЪ Г. ШУШѢ—С. О. АНАНЕВА**, на площади Топханэ.

2) **ВЪ Г. ГОРИ—Ир. Рамишвили.**

3) **ВЪ ЕЛИЗАВЕТОПОЛИ—Г. А. Бальтгаузена**, при торговлѣ аптекарскими товарами.

Въ отдѣленіяхъ и у агентовъ подписка и объявленія принимаются **по редакціоннымъ цѣнамъ** безъ всякой надбавки. Иногородные адресуютъ свои требованія: **Въ Тифлисъ, въ редакцію „Новаго Обозрѣнія“.**

**Лица, подписавшіяся (безъ разсрочки) на годовое изданіе „Новаго Обозрѣнія“ 1892 г. въ настоящее время, будутъ безплатно получать газету въ текущемъ году со дня подписки.**

Въ газетѣ принимаютъ постоянное участіе: Г. Л. Величко, Ветеранъ, Ю. С. Гамбаровъ (проф.), А. Д. Ерицовъ, Г. Ф. Майашвили, Н. С. Мансуровъ, М. И. Началовъ, Н. Я. Николадзе, П. А. Опочининъ, (Горемѣховъ), И. Ф. Тхоржевскій (Иванъ-да-Марья), А. А. Тхоржевская, А. Хах—овъ, Ширванзадэ, П. М. Якимовъ и др. Кромѣ того, „Новое Обозр.“ имѣетъ постоянныхъ корреспондентовъ во всѣхъ большихъ кавказскихъ городахъ, а также въ Петербургѣ и Москвѣ.

Редакторъ **В. М. Тумановъ.**
Издатель **К. М. Тумановъ.**


## ახალი ამბავი

*** 17 ამ თთვისას ტფილისის სასულიერო სასწავლებელში წლიური კრება დაიწყო სამღვდელოებისა. უმთავრესი საგანი, რომელიც ამ კრებას უნდა განეხილა, შემდეგი იყო. როგორც ჩვენს მკითხველებსაც მოეხსენებათ, ტფილისის სასულიერო სასწავლებლის შენობა გააფართოეს, ძველს შენობას ახალიც მიაშენეს. ამ ახალს შენობას, გარდა იმ თავითვე გარდაწყვეტილის 19,507 მანათისა, კიდევ მეტი მოსდომებოდა—2571 მან. კრებამ ამ ვალის გარდასაწყვეტად ჯერ ერთი ის ფული გადასდო, რომელიც მოსწავლეებს სწავლის ფულად შეაქვთ, და მეორეც ზოგს მდიდარს ეკკლესიასაც შეაწერეს ხარჯი. ამას გარდა, ხსენებულს კრებას სასწავლებლის გამგეობამ ცოტაოდენი ხარჯი სთხოვა ყმაწვილების შენახვის გასაუმჯობესებლად. კრებამ უარი არ განაცხადა ამაზე და ახალის ხარჯის სავარაუდოდ მოითხოვა ნიმუშები ყმაწვილების ეხლანდელის ტანთ-საცმელისა. შემოიტანეს კრებაზე ნახმარი ხალათები, გასინჯეს და მეტად უსუფთაო აღმოჩნდა: ამის გამო სამღვდელონი უსიამოვნოდ შეიქნენ და გაცხარებული ლაპარაკი აუტყდათ. კრებამ სთხოვა სასწავლებლის ზედამხედველს, მეტი ყურადღება მიაქციეთ ბავშვების სისუფთავესაო, აბანო შიგ სასწავლებელშივე გამართეთ და, რაც ამ საგნისთვის ხარჯი იქნება საჭირო, იმისი ნუსხა მერმისის კრებაზე წარმოგვიდგინეთო. მესამე საგანი შემდეგი იყო. აღმზრდელნი სკოლსია თხოულობდნენ, თითო ოთახი და სადილი მოგვეცითო. (ეხლა ორს აღმზრდელს ერთი ოთახი აქვს.) კრებამ ჯერ გარდასწყვიტა, შეესრულებითა თხოვნა აღმზრდელებისა, მაგრამ შემდეგ, სასწავლებლის ზედამხედველის რჩევით, იმ ყოფაშივე დასტოვა ეს საქმე, როგორც აქამდე იყო.

*** შაბათს, 14 ამ თთვისას, პეტერბურგიდგან გამოემგზავრა კავკასიაში საქართველოს ეგზარხოსი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი პალლადი.

*** უწმინდესის სინოდი ობერ პროკურორმა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა მოილაპარაკეს და გარდასწყვიტეს, ყოველ წლივ გადასდონ საჭირო ფული და საეკკლესიო სამრევლო სკოლებში შემოაღებინონ სწავლება სასოფლო მეურნეობისა.

*** 16 ამ თთვისას სადგურს გრაკალიდგან წამოსულს საქონლის მატარებელს 10 ვაგონი მოსწყდა და უკანვე დაექანა სადგურისაკენ, დაეჯახა საქონლის მატარებელს № 33-ს და ამ დროს ორი ვაგონი სრულიად დაილეწა. კაცთაგან არავინ არ დაღუპულა ამ ამბის დროს.

*** ძლიერ სამწუხარო ამბებს იწერებიან შესახებ ოსმალეთის სომხებისა. წლევანდელი კარგი მოსავალი სრულიად ხელიდგან გამოსცლიათ, რადგან შემოსული ყანები ქურთებს არ მოუმკევინებიათ და გადაუწვამთ. ამის გამო სომეხთ შორის სიმშილიც ჩამოვარდნილა, დადიან თურმე და გლახაკობენ გულხელ დაკრეფილი გლეხები. სკოლებს ხომ ყურის მგდებელი და პატრონი აღარავინ დარჩენია ამ საერთო უბედურობის გამო.

*** ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგეობა ამ ჟამად იმის ზრუნვაშია, რომ ურწყავი ადგილები ყარაიის მინდვრისა სარწყავად აქციოს და ხალხი დაასახლოს ზედა. ამ საქმის წვრილებას უკვე შეუდგა ხსენებული გამგეობა. ამბობენ, სამუშაოდ ბეგარაზე იმ ხალხს გაიყვანენ, ვისი დასახლებაცა აქეთ განზრახულიო.

*** ქართველთა წიგნების გამომცემელმა ამხანაგობამ საკუთარი სტამბა შეიძინა 8,050 მანათად. დიდად სასიამოვნო ამბავია ეს ამბავი. იმედია, ამას შემდეგ ამ საზოგადოების საქმე უკეთ წავა და გამრავალკეცდება კიდეც მისი მოღვაწეობა.

*** ავლაბრის საძოვრები, როგორც ჩვენს მკითხველებს მოეხსენებათ, ქალაქის გამგეობამ იჯარით ავლაბრის საზოგადოებას მისცა. საჯარო ვაჭრობის დროს ბ-ნმა ხანდამოვმა უფრო მეტი ფასი შეაძლია, მაგრამ საძოვარი გამგეობამ ისევ საზოგადოებას მიჰკერძა. ანგარიშს წამხდარი ხანდამოვი განაწყენდა და ეხლახან თხოვნა მისცა გამგეობას, ჯერ ნუ აუჩქარდებით მაგ იჯარის დამტკიცებას საზოგადოებაზე, რადგან თქვენი საქციელი კანონიერი არ არის, მე ამაზე საჩივარი შევიტანე საგუბერნიო სამმართველოში და იმედია, იგი სამმართველო თქვენს გარდაწყვეტილებას უარ-ჰყოფს და მაგ იჯარას მე მაკუთვნებსო. ეს თხოვნა ბ-ნის ხანდამოვისა ქალაქის გამგეობამ უყურადღებოდ დასტოვა.

*** სომეხთა ნიჭიერის მწერლის შირვანზადეს მოთხრობა „ნამუსი“ ამ ჟამად რუსულს ენაზედ ითარგმნება.

*** ძალიან შემოგვჩივიან კახეთში წამსვლელ-წამომსვლელნი იმ დილიჟნების უწეს-რიგობას, რომელიც ავლაბარში ვილაც წყალობასა აქვს თურმე. გაიგებს თუ არა თურმე ეს წყალობა, დღეს ერთის დილიჟნის მეტი არ გადის ტფილისიდგან კახეთისაკენ და ისიც ჩემიაო, მაშინვე ფასს უმატებს და აჩქარებულსა და გზაზედ დამდგარს ხალხს ერთი-ორად ახდევინებს გზის ფასს. მაგალითებრ, ამას წინად კაცის თავზედ მგზავრებისათვის, ორის მანეთის მაგიერ სამ-სამი მანეთი გადაუხდევინებია. მგზავრობა არც ვადაზედ იწყება და არც დროზედ თავდება, ერთის სიტყვით, ამ ვაჟბატონის გუნებაზეა დამოკიდებული, როგორც უნდა, ისე ატარებს მგზავრს და ისეთს დროზედ ჩაიყვანს ბინაზედ. გზაზედ სულ სამჯერ უცვლიან ცხენებს დილიჟანს, მაგრამ ცხენები-კია? ეს უბედური პირუტყვნი უფრო ფარაონის გამხდარს ძროხებსა ჰგვანან თურმე, ვიდრე ნამდვილს ცხენებს. ნუ თუ მწყალობას არავინ არ მოიღებს და წყალობას საქციელს ბოლო არ მოეღება?!.

*** 19 დეკემბერს თამამშევის სახლში პანასევიჩის ქუჩაზე უეცრად გარდაიცვალა სოფ. შიბლიანის მცხოვრები ვიღაცა ხარიტონი. მიცვალებულის გვამი საანატომიო თეატრში გაგზავნეს.

*** 18 დეკემბერს პოლიციის მეექვსე ნაწილში უეცრადვე გარდაიცვალა გეურქ ყაზიევი.

---

## სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის დაარსების შესახებ.

კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების წევრმა ბ-ნმა [illegible] წინამძღვრი-შვილმა წარუდგინა სამეურნეო საზოგადოებას ერთი საყურადღებო წინადადება. აი რა წინადადებაა ეს წინადადება. ბ-ნ წინამძღვრი-შვილის აზრით, ჩვენის ქვეყნის მკვიდრთა შორის სამეურნეო სწავლა-ცოდნისა და, ტეხნიკო და სახელოსნო სწავლა-ცოდნის გასავრცელებლად საჭიროა დაარსდეს რამდენსამე ალაგას სამეურნეო სასწავლებელი. ამ სასწავლებლის პირველს განყოფილებაში შეგირდებმა საზოგადო განვითარების საგნები უნდა შეისწავლონ უწინარეს სპეციალურის სამეურნეო საგნებისა. საზოგადო განვითარების საგნების შესწავლის დროს პირველ განყოფილების შეგირდები იმდენად მომზადდებიან, რომ სპეციალურს კლასებში, როცა დაიწყებენ სწავლას, სამეურნეო საგნები უფრო ვრცელს და ფართო საზოგადო განვითარებას შეიძენენ. სასწავლო კურსის საგნებს უნდა ჰქონდეს ერთმანეთ შორის მტკიცე, შეურყეველი კავშირი, მასწავლებელნი უნდა ცდილობდნენ, გარდასცენ თავიანთს შეგირდებს ის გამოსადეგი სწავლა, რომელსაც შეგირდები ცხოვრებაში გამოიყენებენ და არა ის ცოდნა, რომელიც არაფრად არ გამოადგებათ. ეს საქმე დიდი საქმეა. საზოგადოდ ერის საეკონომიო ცხოვრების შეცვლა და იმის სარჩო-ქონების გამატებ-გამრავლება სახელმწიფოს საზრუნველი საგანია. ასეთის დიდის საქმის შესასრულებლად საჭირონი არიან განგებ მომზადებულნი მასწავლებელნი—სპეციალისტები. მარტო ამისთანა მასწავლებელნი სახალხო სამეურნეო სკოლებისა შესძლებდნენ სამეურნეო სკოლების გაძღოლას. ამ ჟამად-კი არც ერთი სახელმწიფო სასწავლებელი არ

გვიმზადებს ამისთანა კურს—დამთავრებულ მასწავლებელთ, ესოდენ საჭირო სამეურნეო სასწავლებელთათვის. დღითი-დღე იზრდება, მატულობს და წარმატებაში შედის და რაც უფრო კიდევ წინ წავა სამეურნეო ცხოვრება, მით უფრო ძლიერ დაგვჭირდება ზემოხსენებულისთანა მასწავლებელნი. რა ვქნათ მაშინ, რითი ვუშველოთ საქმეს?! ამ გაჭირვებისაგან დაგვიხსნის მარტოდ-მარტო ერთი ღონისძიება. ეს ღონისძიება ის არის, რომ უნდა დავაარსოთ საოსტატო სამეურნეო ინსტიტუტი, ისეთი ინსტიტუტი, რომელშიაც ყმაწვილ-კაცებმა მიიღონ ნამდვილი საპედაგოგიო სამეურნეო სწავლა-ცოდნა, ისე რომ შეიძლონ შემდეგ მასწავლებლობა და მით ემსახურონ სახალხო სამეურნეო სკოლებს. მინამ ამისთანა ინსტიტუტი არ დაარსდეაა, მანამ ყოველი მეცადინეობა მთავრობისა და საზოგადოებისა ამაოდ ჩაივლის და მკვიდრთა შორის ვერ გავრცელდება სამეურნეო ცოდნა.

აზრი „სამეურნეო მასწავლებელთ ინსტიტუტის“ დაარსებისა ასე დიდად საკეთილოა ჩვენის ქვეყნისათვის, რომ უნდა გაარკვიოს და განახორციელოს კავკასიის საზოგადოებამ, რომლის თავმჯდომარედ ბრძანდება ჩვენი მთავარ-მართებელი, გენერალ-ადიუტანტი შერემეტიევი, მზრუნველი ჩვენის ქვეყნისათვის, მხურვალე მოსურნე იმის კეთილ-დღეობისა და კეთილ-წარმატებისა. ყოველ ამ მოსაზრების გამო, საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებამ უნდა იშუამდგომლოს უმაღლესის მთავრობის წინაშე და ითხოვოს, რომ კავკასიაში დაარსებულ იქმნას „სამეურნეო საოსტატო ინსტიტუტი“, ანუ გარდაკეთდეს ამისთანა სასწავლებლად ერთ-ერთი საოსტატო სემინარია, დაარსებული ჩვენში.

ბ-ნი ი. წინამძღვრიშვილი დარწმუნებულია, რომ იმისს აზრს თანაუგრძნობით მოეკიდება კავკასიის სწავლა-განათლების მზრუნველი და ყოველის ღონისძიებითაც ეცდება, რომ ეს ფრიად საკეთილო ფიქრი მალე საქმედ გადაიქცეს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. ბესლანი** (კავკავის მაზრა) 14-ს დეკემბერს. ბესლანში მცხოვრები ოსები ორმოციოდე წლის წინად გადმოსახლებულან მთის სხვა-და-სხვა ადგილებიდგან. როგორც ზეპირ გარდმოცემა ამბობს, ბესნალელები თითქმის სულ მართლ-მადიდებელი ქრისტიანები იყვნენ თურმე. მაგრამ, რაკი პატრონი და ყურის მგდებელი აღარავინ გასჩენიათ, მიჰყოლიან ნელნელა მაჰმადიანების ზნე-ჩვეულებას. იქამდინ მიუზიდნიათ და დაუმორჩილებიათ მაჰმადიანთ ქრისტიანები, რომ ბოლოს მათ (ქრისტიანებს) რომ კიდეც გულით სდომნოდათ ქრისტეს სარწმუნოების აღსრულება, მაჰმადიანების შიშით კრინტის დაძვრას ველარ ჰბედამდნენ ხოლმე და ნებაუნებურათ ასრულებდენ მაჰმადის სარწმუნოებას; ამასთანავე მოლებმა; როგორც უნდოდათ, ისე ივარჯიშეს და დაიპყრეს თავიანთს ნებაზედ ქრისტიანები; მაგრამ იმ დროს, როცა რომ სულ აპირებდა ქრისტიანობის ხსენების სახელი გაქრობას, სოფ. ბესლანში, გამოჩნდა ისეთი კაცი, რომელიც თავ განწირული შეუდგა ბესლანში ქრისტიანობის გაღვიძებას; ეს კაცი გახლავთ ცნობილი გაკა გუთიევი. გაკა გუთიევი, როგორც მისგნითაც გამიგონია, თითქმის ათითხუთმეტი წელიწადი არის, ცდილობდა ბესლანში სკოლის გამართვას და სამლოცველო სახლის აშენებას, მაგრამ პირდაპირ ვერ აცხადებდა მაჰმადიანების შიშით, რადგანაც ყოველის მხრით ხელს უშლიდენ გუთიევს; სხვაც ვერავინ ვერ ეპოვნა გუთიევს გზის მაჩვენებელი, რომლისათვისაც შეეჩივლა და ეთქვა თავისი განზრახვა. დღეს-ხვალიობით საბრალო გუთიევის განზრახვა რჩებოდა განზრახვადვე. 1890 წ., როცა ბარისოსების სოფლების საეკკლესიო სკოლების სარევიზიოდ მობძანდა ინსპექტორი მამა ლეონიდი, გუთიევი სოფ. ოლგინსკაშივე მიეგება და სთხოვეს რომ სოფ. ბესლანზედ ჩამოევლო და იქაური ქრისტიანები ენახა; ინსპექტორმა მამა ლეონიდმა რომ გაიგო, საქმე რაშიც იყო, დიდის სიამოვნებით მობრძანდა ბესლანში: გუთიევმა იქ რამოდენიმე მცხოვრები ქრისტიანი შეკრებილი დახვედრა ინსპექტორს და მათის სახელით სთხოვა, გვიშუამდგომლეთ, რომ როგორმე სკოლა გაგვიმართოს ქრისტიანობის აღმადგენელმა საზოგადოებამაო და სახლი სკოლისათვის ჩემის ხარჯით მე მიკისრნიაო; ინსპექტორმა გუთიევს გულითადი მადლობა უთხრა ამ კეთილის განზრახვისათვის და აღუთქვა სკოლის გამართვა. ამ ნაირად გუთიევის მეცადინეობით და მამა ლეონიდის შუამავლობით სოფ. ბესლანში გაიმართა საეკკლესიო სამრევლო სკოლა; ეს რომ ნახეს მაჰმადიანებმა, მისცეს ერთმანეთს პირი და აღარავინ არ აძლევდა მაჰმადიანთთაგანი შვილებს სკოლაში, მაგრამ ბოლოს, რომ არავინ არ შეეხვეწა, ადგნენ და თითონვე იმუდარებოდნენ, მიიღეთ ჩვენი შვილებიცაო, ასე რომ დღეს თითქმის ნახევრობამდის მაჰმადიანები სწავლობენ ბესლანის სამრევლო სკოლაში. ბ-ნმა გუთიევმა, როგორც აღუთქვა, ორი კარგა მოზდილი ქვითკირის შენობა ხელ-აღებით შესწირა სკოლას. რაკი სკოლის საქმე დაამთავრა გუთიევმა, ახლა შეუდგა თავისს მეორე კეთილს განზრახვას—ეკკლესიის აშენებას. ფულად თითონ წინდაწინვე გადასდო ოცი თუმანი ნაღდი და აგრეთვე, რაც აგური მოუნდებოდა ეკკლესიას. შემდეგ სთხოვა ქრისტიანობის აღმადგენელს საზოგადოებას ფულად შემწეობა, მაგრამ საზოგადოებისაგან უარი მოუვიდა. ახლა ადგა და მიჰმართა თხოვნით კავკავის უწინდელს ეპისკოპოსს პეტრეს შემწეობისათვის. ყოვლად სამღვდელომ გუთიევს აღუთქვა, გიშუამავლებ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების წინაშე და უსათუოდ, იმედი მაქვს, აღმოგიჩენს ფულად შემწეობასაო, მაგრამ, დახე იღბალს, იმ ხანობაში ყოვლად სამღვდელო პეტრე გადიყვანეს სხვაგან და საქმე კიდევ დაუბრკოლდა გუთიევს; ბოლოს გუთიევმა ყოვლად სამღვდელო კავკავის ეპისკოპოსს იოანიკეს გამოსთხოვა კონდაკი და დღეს დადის სოფლით-სოფლად და თხოულობს შემწეობას...

ქართველი ოსებში

## რა არის ელევატორი?

წერილი მესამე

ახლა საჭიროა მკითხველებს გავაცნოთ თვით ელევატორის საქმის ტეხნიკა და აგრეთვე ის დანარჩენი სარგებლობაც აღვნიშნოთ, რომელიც ელევატორის არსებობას მოსდევს, ამ ჟამად არსებულ პურის ვაჭრობის გარემოებასთან შედარებით.

პურისა და საზოგადო მარცვლეულობის მიტანა ელევატორთან შეიძლება ან ურმით და ან რკინის გზის ვაგონებით. მიტანილი მარცვალი, განსაკუთრებულად გაკეთებულის მანქანით იწონება და იქავე ელევატორის ძირში ჰყრიან. თუ მარცვალი გარჩეულ - გადარჩეულია, ასე რომ ელევატორის მხრივ აღარავითარი მუშაობა არა სჭირდება, პურს გასინჯავს ინსპექტორი, რომლის თანამდებობის მნიშვნელობასაც შემდეგ გავაცნობთ მკითხველებს, და ელევატორის ბეღელში ჰყრიან, სადაც გაყიდვამდე ინახება. ხოლო, როგორც უმეტესად მოხდება ხოლმე, თუ მარცვალი გადურჩეველია, ელევატორში გამართულს გადასარჩევს მანქანაში აღარა ჰყრიან, არამედ პირდაპირა სწონავენ და ინსპექტორს ასინჯებენ. როცა მთელი ეს საქმე მორჩება და გამორკვეული იქნება რაოდენობა და ღირსება პურისა, პატრონს მოწმობას აძლევენ, რომელშიაც აღნიშნულია წონა და ღირსება მის მიერ მიტანილის პურისა, თვით მარცვალსკი დანარჩენს, იმის ღირსების თანაბარს ხორბალში ურევენ და ერთად ინახავენ. ამას საქონლის გაერთიანება ეძახიან.

სხვა-და-სხვა პატრონის მარცვლეულობა ცალკ-ცალკე რომ ინახებოდეს, აშკარაა, ისეთი უშველებელი ელევატორი დასჭირდება, რომ მისის აშენებისა და პატრონობის ხარჯს მარცვლეულობის შესანახი გარდასახადი ვერ აუთავდება. ამ უხერხულობის ასაცდენად, ერთისა და იმავე ღირსების მარცვლეულობას, თუნდა ბევრის საკუთრებაც იყოს, ერთად ურევენ და შემდეგ ამ ნარევიდგან ყველას თავთავისს კუთვნილს ნაწილს ურიგებენ.

ვსთქვათ, მე 1,000 ფუთი სიმინდი ან ხორბალი მივიტანე ელევატორში და, ჩემის აზრით, ჩემი საქონელი საუკეთესო ღირსებისაა. გავიდა დრო, გაყიდვა მოვინდომე და საერთო პურის საწყობიდგან ჩემი ნაწილი მომცეს. კარგი, მაგრამ შეიძლება ისე მეჩვენოს, ვითომ ელევატორის მიერ უკანვე დაბრუნებული მარცვლეული ჩემ მიერ მიტანილთან შედარებით უფრო მდარე ღირსებისაა. უსიამოვნება ჩამოვარდება და კამათსა და აურზაურს ბოლო არ ექმნება. ამ ნიადაგზედ შეიძლება ისეთმა ავაზაკობამ და მოტყუებამ გაიდგას ფესვი, რომ ელევატორის საქმეს სულ ერთიანად მოუღოს ბოლო.

რომ ადრევე ნიადაგი არ დაურჩეს ასეთს უსიამოვნებას, ელევატორთანავე, მთავრობის ნება-დართვითა და დამტკიცებით, დაწესებულია განსაკუთრებული ინსპექცია, რომელიც ერთისა, ანუ რამდენისამე ინსპექტორისა და იმის თანაშემწესაგან შესდგება. ხოლო ამ ინსპექციასა და საქონლის პატრონს შორის ამტყდარ-

# ფელეტონი

## რამე-რუმე და სხვათა შორის

(წერილი მეოთხე)

ძმაო მიხეილ!

(დასასრული. იხ. „ივერია“ № 271)

ინგლისში 1870 წლამდე ხალხის სწავლა-განათლება განსაკუთრებით კერძო ინიციატივის ხელში იყო. 1870 წლიდამ-კი, როდესაც გამოიცა კანონი, რომელიც პირველ-დაწყებითს სწავლას სავალდებულოდ ხდიდა, დაიწყეს აქ სამრევლო სკოლების დაარსება, რომელნიც ეგრედწოდებულ „სასკოლო უწყების“ მზრუნველობის ქვეშ არის და ინახება მრევლთა ხარჯით. მაგრამ აქამომდეც-კი პირველდაწყებითი სკოლები უმეტესად კერძო საზოგადოებათა და კაცთა ხელში იმყოფება, ასე რომ ინგლისსა და უელსში კერძო ინიციატივის მიერ დაფუძნებული სკოლები სამჯერ მეტია, ვიდრე „სასკოლო უწყების“ სკოლები. სახელმწიფოს მონაწილეობა ხალხის სწავლა-განათლების საქმეში აქ გამოისახვის მით, რომ იგი სუბსიდიას აძლევს, როგორც ყველა იმ სამრევლო, აგრეთვე კერძო სკოლებს, რომელნიც-კი დაწესებულს პროგრამმას არ გადასცილდებიან და მართებლობის ინსპექციას ექვემდებარებიან...

იმისთანა საზოგადოებანი, რომელნიც პირველდაწყებითის სწავლის გავრცელების აზრით დაარსებულან, ინგლისში მრავალია, ზოგნი საზოგადო მნიშვნელობისანი არიან და, მაშასადამე, მოღვაწეობენ მთელის ქვეყნისათვის, ზოგთ-კი მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა აქვთ; ერთნი მხოლოდ სკოლებს ჰმართავენ, მეორენი-კი სხვა აზრსაც მისცემიან, როგორც, მაგ., აბინავებენ ობლებს და უპატრონო ბავშვებს, ჰმართავენ წიგნთ-საცავებს, კურსებს მოზარდთათვის და სხ...

თუ პირველდაწყებითი განათლება უმეტესად კერძო ინიციატივას ეკუთვნის, მისის შემწეობით არსებობს, პროფესიონალური განათლება-კი, მოზარად ყმაწვილთათვის დაარსებული განმანათლებელი დაწესებულებანი და, დასასრულ, მრავალი დაწესებულებანი კლასსის გარეშე განათლებისათვის, როგორც მაგ. წიგნთ-საცავები, სამკითხველოები, მუზეები, სახალხო ლექციები, გამოფენები და სხ., თითქმის სრულიად კერძო ინიციატივის წყალობით, მისის მეოხებით ინახება. თუ რა გაუკეთებია ამ მხრივ ე. ი. სკოლის გარეშე განათლებისათვის ინგლისის საზოგადოების კერძო ინიციატივას, საკმარისია, მოკლედ თვალი გადავავლოთ ლონდონის ეგრედწოდებულს „სახალხო სასახლის“ მოქმედებას, რომელიც შარშან გააცნო რუსის საზოგადოებას პროფ. იანჟულმა და მაშინ ნათლად დავინახავთ კერძო ინიციატივის სიდიადეს, მისს ფართო მოღვაწეობასა და ძალას. ამ უზარმაზარს დაწესებულებას აქვს წიგნთ-საცავი, რომელიც 20,000 ტომს შეიცავს და ათასობით მკითხველი ჰყავს, ხუთი ტეხნიკური სასწავლებელი მცირე წლოვანთათვის, ოცდა-ერთი კლუბი, რომელთაც სხვა-და-სხვა საგანი აქვთ დადებული საფუძვლად; აქვე გამართულია საღამოს კურსები 4000 მოსწავლისათვის, გიმნასტიკის სკოლა და სხ. ეს მართლაცდა ორიგინალი დაწესებულება სულ მთლად ცალკე კაცთა თაოსნობით და მათის ძალ-ღონით არის დაარსებული.

კიდევ უფრო მეტად, ვიდრე ინგლისში, კერძო ინიციატივა განვითარებულია შეერთებულს შტატებში. უეჭველია, ბევრს გაეგონება, თუ რამდენს სწირავენ ამერიკის მდიდრები სწავლა-განათლებისათვის: ამერიკის ყოველ მხრივ მდიდრად მოწყობილი უნივერსიტეტები დაფუძნებულია მხოლოდ მათ მიერ შეწირულის ფულით. თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებელი, რომელთა რიცხვი გაცილებით მეტია იქ, ვიდრე სხვაგან სადმე, კერძო შეწიურლებით არის გამართული. საერთო რიცხვი უმაღლეს სკოლათა შეერთებულს შტატებში 3200-დეა 285,000 მოსწავლეთი. მაგრამ კეთილმა თაოსნობამ იჩინა თავი არა მარტო უმაღლეს სწავლის გავრცელებაში, არამედ საზოგადოდ ხალხის განათლებაშიც. ამისათვის აქ გამართულია 190,000-მდე სკოლა, სადაც ათ მილიონამდე ყმაწვილი სწავლობს. უმეტესი ნაწილი ამ სკოლათა დაარსებულია და ინახება კერძო თაოსნობის შემწეობით, მთავრობა შეერთებულს შტატებში სრულიად არ ერევა ხალხის განათლების საქმეში...

ინგლის-საქსონიის კულტურის ქვეყნების შემდეგ კერძო თაოსნობის წარმატების მხრით ხალხის განათლების საქმეში მეორე ადგილი უჭირავს სკანდინავიის ცივილიზაციის სახელმწიფოებს—შვეციას, ნორვეგიას, დანიასა და ფინლიანდიას. ყველა ამ ქვეყნებში კერძო თაოსნობა მთავრობასთან ერთად მოქმედებს ხალხის განათლების სასარგებლოდ; რაც მთავრობის მოღვაწეობას აკლია, იმას კერძო თაობა ასრულებს, ასწორებს მისს შეცდომებს, უჩვენებს მთავრობას ახალს გზას და საშუალებას განათლების გავრცელებისას ახლად აღმოცენებულ მოთხოვნილებათა მიხედვით და სხვ.

გეხსოვება, ძმაო მიხეილ, რომ ერთ-ერთს წერილში გაკვრით „საგლეხო უნივერსიტეტებს“ შევეხე. ეხლა უფრო დაწვლილებით გიამბობ იმათ დაარსების ამბავს.

„საგლეხო უნივერსიტეტების“ სამშობლო—დანიაა. აქედამ ის გავრცელდა ნორვეგიაში და შემდეგ შვეციაში. ამ „უნივერსიტეტების“ დაარსების აზრი ეკუთვნის პოეტს გრუნტვიგს. პირველი ამისთანა „უნივერსიტეტი“ დაარსდა 1844 წ. ეხლა-კი პატარა დანიაში, სადაც მხოლოდ ორ მილიონამდე მცხოვრები ითვლება, იმათი რიცხვი სამოც-დაათამდეა. ყველა ისინი კერძო თაოსნობის ნაყოფია. ამ „უნივერსიტეტებისათვის“ საჭირო ხარჯს ჰფარავს უმთავრესად კერძო შემოწირულება, მცირეოდენი სახელმწიფო სუბსიდია და მოსწავლეებისაგან შეტანილი სწავლის ფასი, რომელიც, უნდა ვსთქვათ, ძლიერ მცირეა. „საგლეხო „უნივერსიტეტებში“ იღებენ გლეხთა შვილებს ორივასვე სქესისას, რომელთაც-კი პირველდაწყებითი სწავლა მიუღიათ. „უნივერსიტეტების“ მოსწავლენი უმეტესად 20—24 წლი-

დავის გადასაწყვეტად უმაღლესი კომიტეტი არსებობს, რომლის გადაწყვეტილებაც ხელ-შეუხებელია და საბოლოო.

კომიტეტი წლის დასაწყისშივე იმ წლის მოსავალს არკევს და რამდენსამე ხარისხადანაწილებს და რამდენსამე შუათანა ღირსებას იკვლევს პურისას. ამ წლის მოსავალი ერთ-ერთის ამ ხარისხისა უნდა იყოს. ნიმუშები გამონაკვლევის პურისა განსაკუთრებულს შუშის ჭურჭელში ინახება ელევატორსა და სხვა ადგილებში და ყოველს მსურველს შეუძლიან, როცა ჰსურს, ნახოს და გასინჯოს.

ინსპექტორი როცა ჩემს მიერ მიტანილსხ ორბალს ჰსინჯავს, თუ მსურს, ჩემის თანადასწრებით, ნიმუშებს ადარებს და ამითი ჰტყობილობს ღირსებას ჩემის ხორბლისას. თუ იმის გარდაწყვეტილების თანახმა არა ვ‥ რ, შემიძლიან, კომიტეტში საჩივარი შევიტანო და კომიტეტი ახალს ექსპერტიზასა ჰნიშნავს. ხოლო თუ ჩემი საჩივარი უსაფუძლო აღმოჩნდა, ფულად ჯარიმა გადამხდება. ასეთივე ჯარიმა არ სცდება აგრეთვე ინსპექტორსაც, თუ უკანონოდ და უწესოდ მოიქცა.

რადგან ყოველი მარცვლეული, ხორბალია, სიმინდი, ქერი, თუ სხვა, ღირსებით რამდენსამე ნომრად—ხარისხად განაწილდება, ამიტომ ელევატორის მმართველობისაგან მიცემულს მოწმობაზედ წვლილად უნდა იყოს აღნიშნული არამც თუ მარტო მიტანილის საქონლის რაოდენობა, არამედ ნომერიც; ერთის სიტყვით, ელევატორში მიტანილი მარცვლეული ხარისხის კვალობაზედ უნდა იყოს განაწილებული. ასეთის მოწმობით ყოველს ვაჭარსა და და მყიდველს ადვილად შეუძლიან, იაზროს, რა ღირსების ხორბალი უნდა იყოს ეს სავაჭრო ხორბალიო. მაშასადამე, ასე მოწყობილის საქმის წყალობით ვაჭრობა მარტივდება, მოტყუებასა და ავაზაკობას ბურთის გასატანი მოედანი აღარა ურჩება და ყოველივე სწორად და პატიოსნად სწარმოებს.

აი კიდეც ამიტომ ევროპის პურის მოვაჭრენი ელევატორებთან ამჯობინებენ საქმის დაჭერას და ამიტომვე ამერიკელები იჭერენ ხელში თანდათან ევროპის პურის ბაზარს, თუმცა იმათი პური, თუ უარესი არ არის, რუსეთისას არაფრითა სჯობია. ნუ დაივიწყებთ ამასთანავე, რომ გზის ხარჯი ამერიკელებს უფრო მეტი სჭირდებათ, ვიდრე რუსებს; ამის გამო ძვირადაც უნდა ჰყიდნენ თავისს პურს რუსეთის პურთან შედარებით, რომელიც თავისის ბუნებრივის ღირსებით გაცილებით სჯობია იმათისას. წარმოიდგინეთ, თუმცა ასეა, მაინც-კი, როგორც ვსთქვით, ამერიკის პური, არამც თუ მეტოქობას უწევს, სდევნის კიდეც ბაზრიდგან რუსეთის პურს.

ამისი მიზეზი, რასაკვირველია, ისაა, რომ ამერიკაში პურის ვაჭრობა სამაგალითოდ არის მომართულ-მოწყობილი. ამერიკიდგან გამოგზავნილის პურის ერთი მარცვალიც არ ასცდება ელევატორს. პურის ვაჭარს თავისის საქონლის ელევატორში დაბინავებასა და შენახვასაც რომ არ იყოს მოწადინებული და ნავთსადგურიდგან პირდაპირ ევროპაში აპირებდეს გაგზავნას, მაინც ელევატორში გაატარებს ხოლმე, რომ ამითი მისი ღირსება ელევატორს შეამოწმებინოს და ელევატორის მმართველობისაგან ამისი მოწმობაც მიიღოს.

ბ-ნი ფედოროვი, რომელმაც 1885 წელს წაიკითხა მოსკოვის სამეურნეო და სატეხნიკო შეერთებულს საზოგადოებაში თავისი მოხსენება ელევატორის შესახებ და რომელიც საქმის დიდ მცოდნედ ითვლება, სწერს, სხვათა შორის:

„დიდი ხანია ევროპაში საჩივარი და სამდურავი გაისმის, რომ რუსეთის პური ცუდის ღირსებისაა და იმისთანაც-კი არ მოდის იქიდგან გამოწერილი საქონელი, როგორსაც ნიმუშებსა ჰგზავნიანო. იმასაც-კი სჩივიან, რომ ერთისა და იმავე ადგილიდგან გამოწერილი საქონელი ძნელად თუ ერთ გვარის ღირსებისა მოგვივიდესო. ამასობაში ამერიკის პური სრულიად გარკვეულის ღირსებისაა და ვაჭრობისათვის ადვილად სააღებ-მისაცემოო“.

(შემდეგი იქნება)

---

# უცხოეთი

**საფრანგეთი და ბოლგარია** გაზ. Temps-ში დაბეჭდილია საფრანგეთის სადიპლომატიო ელჩის ლანელისა და ბოლგარიის გარეშე საქმეთა მინისტრის გრეკოვის მიწერ-მოწერა შესახებ შადურნის ბოლგარიიდგან განდევნისა. საფრანგეთის ელჩი ლანელი სწერს ბოლგარიის მინისტრსს გრეკოვს: „საფრანგეთის ქვეშევრდომი ბ-ნი შადურნი განდევნილ იქმნა ბოლგარიიდგან, პოლიციელებმა იგი ძალით შეიპყრეს და ისე გაისტუმრეს საზღვარ გარედ. მე, როგორც მმართველი საფრანგეთის სადიპლომატიო სააგენტოსი და საელჩოსი, ამით ვაცხადებ ჩემს უკმაყოფილებას ამ უკანონო საქციელის გამო და ვითხოვ, რომ გაუქმებულ იყოს ბოლგარიის მთავრობის განკარგულება შადურნის ბოლგარიიდგან განდევნის შესახებ. ამასთანავე ვთხოვ ბოლგარიის მთავრობას იმის შესახებ ხელწერილს, რომ არაფრით არ შეაწუხოს შადურნი, თუ ვინიცობაა იგი ბოლგარიაში დაბრუნდება. გთხოვთ, ამ წერილის პასუხი ოც-დაოთხის საათის განმავლობაში გამომიგზავნოთ“. ბოლგარიის გარეშე საქმეთა მინისტრს გრეკოვს ამ წერილზედ უპასუხნია: „ჩემს მოვალეობად ვთვლი მოვაგონო საფრანგეთის სააგენტოს მმართველს, რომ ბოლგარიის მთავრობას თვითონ ლანელისთვის რამდენჯერმე უცნობებია გავასის სააგენტოს და უცხოეთის გაზეთების კორესპონდენტის შადურნის ბოლგარიის მთავრობისადმი საწინააღმდეგო საქციელი. შადურნს ბევრჯელ ტყუილი და ცილის წამებით სავსე წერილები უწერია გაზეთებში. ამის გამო ბოლგარიის მთავრობას, როგორც თვით ლანელმა უწყის, წინადაც ორჯელ უნდოდა, ბოლგარიიდგან განედევნა შადურნი და თუ აქამდის არ იხმარა ეს ღონის ძიება, მხოლოდ იმიტომ, რომ იმედოვნება, იქნება შადურნმა დაიშალოს თავისი საქციელი და თავი დაანებოს ბოლგარიის შესახებ ტყუილისა და ცილის წამების ბეჭდვას გაზეთებშიო. შადურნმა თავისი არ დაიშალა და ჩვენც იძულებულნი გავხდით, უკანასკნელი საშუალება გვეხმარა, რომ იმის თავგასულობა აგველაგმა. ამიტომ, თუმცა დიდად ვწუხვართ, მაგრამ ამ განკარგულების გაუქმება შესაძლებლად არ მიგვაჩნია და ბ-ნს შადურნს ბოლგარიაში დაბრუნების ნებას ვერ მივცემთ. იმედი მაქვს, რომ საფრანგეთის რესპუბლიკა დიდს მნიშვნელობას არ მიაწერს ჩვენს საქციელს და ბოლგარიასა და საფრანგეთის შუა არავითარი უსიამოვნება და განხეთქილება არ ჩამოვარდება. ბოლგარიის გარეგან საქმეთა მინისტრი გრეკოვი“.

**საფრანგეთი.** ამ დღეებში ამერიკაში გაემგზავრა დეპუტატი დეშანელი. დეშანელს განზრახვა აქვს, ადგილობრივ შეისწავლოს ამერიკის სოციალური წეს-წყობილება. დეშანელი განსაკუთრებით ყურადღებას მიაქცევს მრეწველთა და მუშათა შორის მომხდარ უთანხმოების განსამართლების საქმეს, დღიურ სამუშაო ფასის მომატებას, ვადის შემცირებისა, სამუშაოების რიგიანად მოწყობის საქმეს, მუშათა შორის საურთიერთო და დამხმარებელ საზოგადოებას და სხვ. ყველა ამის შესასწავლად დეშანელი რამდენსამე ხანს დარჩება ნიუ-იორკს, ჩიკაგოს, ბალტიმორას და ზოგიერთა ჩრდილო ამერიკის სხვა ქალაქში.

---

# წვრილი ამბავი

**ქორწილი თეატრში.** ატლანტაში (ამერიკა) 104 წლის კაცს ლესტერს 81 წლის ქალი მარია მოზელი შეურთავს. ჯვარის წერა თეატრის სცენაზედ მომხდარა და ხალხი ბლომად დასწრებია, თეატრში შესვლა ბილეთებით ყოფილა $1/4$ დოლლარი ღირებულა.

— **მზარეული-გრაფი.** იტალიის გაზეთებში შემდეგი ამბავია დაბეჭდილი. რამდენისამე წლის წინად რომიდგან თავის სახლიდგან ამერიკაში გაქცეულა დომინიკო ცუნკადა, რადგანაც დედმამა ნებას არ აძლევდა თავისს ნებაზედ ცხოვრებისას. დომინიკოს ბევრსად ვერ უშოვია ხეირიანი ადგილი და ბოლოს სან-ფრანცისკოს ერთს სასტუმროში მზარეულად დამდგარა. ამას წინად დომინიკოს ბიძას გრაფ გატტის შემთხვევით, სან-ფრანცისკოში გაუვლია, მოჰგონებია თავისი ამერიკაში გამოქცეული დისწული და გაზეთებში გამოუცხადებია, ჩემს დაკარგულს დისწულს დომინიკო ცუნკადს ვეძებო. დომინიკოს გაზეთებში წაუკითხავს ეს განცხადება და ბიძასთან გამოცხადებულა. ბიძამ დომინიკოს უამბო, რომ მამაშენი გარდაიცვალა და დიდი სიმდიდრე და გრაფობა გაანდერძაო. უცბად გამდიდრებული მზარეული-გრაფი, რასაკვირველია, რომში დაბრუნებულა თავისს საკუთარს სახლში.

— ექიმს მეზარდს პარიჟის ერთს საავადმყოფოში უცდია, რომ ჩვლექით ავადმყოფებისთვის ძლიერ სასარგებლო ყოფილა ღია ოთახში ძილი. მეზარდი ავადმყოფებს ზამთარში და შემოდგომაზედ ღია ოთახში აძინებს. თუმცა, ავადმყოფი ისე ეჩვევა სიცივეს, ამბობს მეზარდი: რომ ზამთარშიაც-კი შეუძლიათ უვნებლად ძილი ღია ოთახში. ფანჯრები ფარდებით-კი უნდა იყოს ჩამოფარებული და, როცა ძლიერია ცივა, ავადმყოფს თბილი საბანი უნდა ეხუროს და ოთახშიაც ერთთავად ცეცხლი ენთოს. მეზარდი ამბობს: ბევრის მაგალითით დავრწმუნდი, რომ ღია ოთახში ძილი ძლიერ სასარგებლოა ჩვლექიანებისთვის.

---

სანი არიან, თუმცა ამაზედ უფროსებსაც არა იშვიათად შეხვდებით—40 წლისანებამდე; ხოლო 18 წლისაზე პატარეებს „უნივერსიტეტებში“ არ იღებენ. „უნივერსიტეტების“ პროგრამები სხვა-და-სხვა ნაირია: ზოგან საზოგადო განათლებას აძლევენ, ზოგან საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო ცოდნას, ზოგან კიდევ სხვა-და-სხვა პრაქტიკულს ცნობას და სხვ. ეს სასწავლებლები არავითარს უფლებას არ იძლევა. მათი დანიშნულებაა, მისცეს მოსწავლეს მხოლოდ ცოდნა და განვითარება; ხოლო საკმარისია მისთვის, რომ ყოველთვის სავსენი იყვნენ მოსწავლეებით. ამ სასწავლებლებს დიდი მნიშვნელობა აქვთ სკანდინავიის სახელმწიფოთათვის იმ მხრივ, რომ იქიდამ გამოდიან ჭეშმარიტი წარმომადგენელნი გლეხ-კაცობისა. ამ სკოლებში ნასწავლთა შორის ეხლა საკმაოდ მოიძებნება იმისთანა საზოგადოებათა მოღვაწენი, რომელთაც იჩინეს თავი სხვა-და-სხვა ასპარეზზედ.

ვგონებ, ეს ცნობანიც საკმარისია იმისათვის, რომ კაცმა მცირედ მაინც გაიცნოს კერძო თაოსნობის მოღვაწეობა სწავლა-განათლების საქმეში საზღვარ გარედ. აქედამ სჩანს, თუ რა დიდი განსხვავებაა დასავლეთ ევროპის ყველა განათლებულ სახელმწიფოთა და რუსეთს შორის, სადაც კერძო თაოსნობა დასაწყისშია და მხოლოდ ამ ბოლოს იწყებს მოქმედებას. რუსეთში მხოლოდ ამ უკანასკნელს ხანს დაარსდა საზოგადოებანი განსაკუთრებით იმ დანიშნულებით, რომ ასე თუ ისე გაავრცელონ სწავლა-განათლება, შესდგა კომისიები სახალხო ლექციების საკითხავად, დაარსდა ბევრს ადგილს საკვირაო სკოლები, სახალხო წიგნთსაცავები, მიაქციეს ყურადღება პროფესსიონალურს განათლებას, განვითარებას და სხვ. მაგრამ ყოველივე ეს მაინც ძლიერ მცირეა იმ მოთხოვნილებასთან შედარებით, რომელიც სუფევს რუსეთის ხალხში და რომელთა შორის ზოგი მოთხოვნილება სრულიად არ არის, ზოგი-კი მხოლოდ ოდნავ არის დაკმაყოფილებული. ჩვენის ქვეყნისას ხომ ნურც-კი იკითხავ: იგი ამ მხრივ არამც თუ ევროპიულს სახელმწიფოებს, რომლებთანაც შედარებაც-კი არ შეიძლება, რუსეთსაც-კი, ამ სუსტად განვითარებულს ქვეყანას, ძლიერ შორს ჩამორჩენია, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ძლიერ კარგი მაგალითები გვაქვს იმისა, რომ ღრმად დავრწმუნებულიყავით, რა დიდი მნიშვნელობა აქვს კერძო თაოსნობას. ჯერ ჩვენ, საზოგადოდ, თითქმის არაფერი გვაქვს და ან თუ გვაქვს რაიმე შესამჩნევი, სასარგებლო დაწესებულება, რომელიც მთელის ჩვენის საზოგადოებისათვის, მთელის ჩვენის მხრისათვის და არა რომელსამე განსაზღვრულ წრისათვის ზრუნავდეს, ეს ჩვენ კერძო მოღვაწეობის წყალობით გვაქვს, აიღეთ მაგ. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, ეს ერთად-ერთი ხალხის საერთო და ძვირფასი განძი, ან სათავადაზნაურო ბანკები, „წიგნების ბეჭდვის ქართველთა ამხანაგობა“ და სხ.—ეს ყოველივე ხომ კერძო დაწესებულება არის! მაგრამ თუ-კი ისე არ არის განვითარებული ჩვენში კერძო თაოსნობა, როგორც მოსალოდნელია, ან როგორც სასურველია, ეს მიეწერება მხოლოდ იმას, რომ ჩვენს ინტელიგენციაში ძლიერ მცირედ განვითარებულა აქამომდე იმ დიდისა და წმიდა მოვალეობის შეგნება, რომელიც ამ ინტელიგენციას აწევს კისრად და აწევს-კი სახელდობრ იმიტომ, რომ იგი ინტელიგენციაა, მაშასადამე მეთაური, ხელმძღვანელი დასი; აი ამიტომ იგი მოვალეა, აკეთოს ის, რისაც ძალ-ღონე შესწევს, იღვაწოს ხალხის სწავლა-განათლებისათვის სხვა-და-სხვა საშუალებათა შემწეობით იმდენად, რამდენადაც საჭიროა ე. ი. იმდენად, რომ ხალხის მოთხოვნილება ამ მხრივ დაკმაყოფილებული იყოს. ხალხის მოთხოვნილება დღითი-დღე იზრდება და ის განმანათლებელი საშუალებანი-კი, რომელთაც იძლევიან მთავრობა და სხვა-და-სხვა სახელმწიფო დაწესებულებანი ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, არა კმარობს, ყველას არა სწვდება... აი ამ მიზეზის გამო უფრო დიდი მნიშვნელობა ეძლევა კერძო თაოსნობას სწავლა-განათლების საქმეში. რასაკვირველია, საზოგადოება საერთოდ და ინტელიგენცია საკუთრივ ამ თავის დანიშნულების უკეთ აღსრულებისათვის ჰსაჭიროებს სხვის შემწეობასაც: მას უნდა დაეხმაროს მწერლობა, პრესსა, რომელსაც ყოველს ამ გვარს შემთხვევებში დიდი სარგებლობა და სამსახური შეუძლიან, გაუწიონ საზოგადოებას. მწერლობამ უნდა მიჰმართოს საზოგადოების ყურადღება იქითკენ, საითაც უფრო საჭიროა ხოლო, რასაკვირველია, თავისი მსჯელობა აღზრდა-განათლებისა, თუ სხვა რაისამე საგნის შესახებ მან უნდა დაამყაროს სამეცნიერო საფუძვლებზე და მაგალითებით შემოწმებულს მოსაზრებაზედ. ასე და ამ გვარად, საზოგადოება და მწერლობა ღირსეულს სამსახურს გაუწევს ახალგაზდა თაობას და სამშობლოს. მაშინ მთავრობაც, დაინახავს თუ არა, რომ საზოგადოება და მწერლობა ერთისა და იმავე საგნისაკენ მიისწრაფიან, დარწმუნდება თუ არა, რომ მათ მისწრაფებას ერთიანობა ემჩნევა, თავის მხრითაც აღმოუჩენს ყოველ მხრივ შემწეობას. წინააღმდეგს შემთხვევაში ე. ი. თუ საზოგადოებამ მხურვალე მონაწილეობა არ მიიღო ამ საზოგადო საქმეში, რაც უნდა აღემატებოდეს მთავრობის თაოსნობა საზოგადოებისას, მარტო მთავრობას მაინც სრულიად არ შეუძლია, დააკმაყოფილოს საჭიროება ერისა. ამ სახით აღზრდა-განათლება, რათა საუკეთესო ნაყოფი ჰქონდეს, ჰსაჭიროებს სამ ძალ-ღონის მონაწილეობას: მთავრობისას, საზოგადოებისას და მწერლობისას. რამდენადაც მეტად დაეხმარება ეს სამი ძალ-ღონე ერთმანეთს, იმდენად უფრო მკვიდრი იქნება მათგან დაწყებულ საქმის წარმატება. ამ შეერთებულის ძალ-ღონითვე გამოირკვევა ბევრი ახალი საქმე და აღმოცენდება ახალი გონივრული წესი და რიგი აღზრდისა.

შენი ძმა გრიგოლ

ქ. მოსკოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავადმყოფს მალე მადა მოსდის, ხველა ეკარგება, ნახველი ნაკლებად ამოსდის და ციებ-ცხელებაც თავს ანებებს. ეს საშუალება მხოლოდ იმ ჩლექიანებს არ არგებს, ვინც უკანასკნელს დღეში-ღა არაიან.

— პარიჟში გარდაიცვალა მარკიზი პლესსი ბელიერი და თავისი ქონება და მამულები რომის პაპას უანდერძა. ამ ყამად მონდიდის სასამართლო არჩევს ამ ანდერძს. ვექილი დეგრენი ამტკიცებს, რომ წმ. მოციქულის პეტრეს მემკვიდრეს არ შეუძლიან სხვა კაცის მემკვიდრეობაო. ამას გარდა, რომის პაპს ლეო XIII, როგორც უცხო ქვეყნის ხელმწიფეს საფრანგეთის კანონის ძალით უფლება არა აქვს საფრანგეთში უძრავი მამულების შეძენისაო.

— ბავარიაში ერთმა ინჟინერმა კარლ ბერლმა გამოაცხადა: დაბა დელცში იოდ ნარევი წყარო აღმოვაჩინე, რომელიც ავადმყოფებისთვის ძლიერ სასარგებლოაო. 1890 წელს მაისში ამხანაგობა შესდგა ამ წყაროს რიგიანად მომართვისა. ავადმყოფები ათასობით მოაწყდა ამ წყაროს. ეხლა აღმოჩენილა, რომ ინჟინერს უბრალო წყაროში მილი გაუყვანია, რომლის შემწეობითაც ამ წყაროს ზომად ურევდა ნახშირ-მჟავე ნატრის, საბანკო ნატრის, იოდის ნატრის და სხვ. ამ ქიმიურს დამხალს კარგა ფული მოაგებინა, როგორც ინჟინერისთვის, ისე ამხანაგობის ფულსაც. ეხლა-კი ამხანაგობა შეუტევს თურმე მოხერხებულს ინჟინერს და სამართალში მისცეს.

## პეტერბურგის ბირჟა, 17 დეკემბერი

| | მყიდველისა. მან. კ. | გამყიდველისა. მან. კ. | გაყიდულისა. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ათ-მანათიანი ოქრო . | 8, 20 | 8$\frac{1}{2}$ | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | 163$\frac{1}{2}$ | 164 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | 1, 18 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 24 $\frac{1}{2}$ |
| — მეორისა . . . . . | — „ | — „ | 220 |
| — მესამისა . . . . . | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი, . . . . | 199 | — „ | 202 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | — „ | — „ | — „ |
| 6%. . . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5%. . . . . . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | — „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისაშავს ზღვაზე

### ბათუმიდამ გადის:

სამშაბათობით: ნაშუადღევის 4 საათზე, მოკლე გზით, სუხუმსა და ნოვოროსიისკში შეივლის.

ხუთშაბათობით: ნაშუადღევის 4 საათზე, მოკლე გზით, ნოვოროსიისკში შეივლის.

შაბათობით: საღამოს 8 საათზე, შორის გზით, ყოველს ნავთ-სადგურში შეივლის.

ორშაბათობით: საზღვარ-გარედ კონსტანტინოპოლისაკენ, საღამოს 7 საათზე

### ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: დილით, მოკლე გზით. გამოივლის კერჩსა და სუხუმზე.

ოთხშაბათობით: დილით, მოკლე ზით, გამოივლის კერჩსა და ნოვოროსიისკზედ.

პარასკევობით: საღამოზე, შორის გზით.

კვირაობით: დილით, სტამოლიდამ.

ფოთში მოდის ბათუმიდამ: ორშაბათობით, შუადღისას.

ფოთიდამ ბათუმს მიდის: ხუთშაბათობით, დილის 9 საათზე. (ბათუმში მიმავალ მგზავრთ შეუძლიანთ გადავიდნენ საფოსტო გემზე, რომელიც გადის ნაშუადღევის 4 საათზე).

კვირაობით: დილის 9 საათზე.

ფოთიდამ სუხუმს: ორშაბათობით, შუადღისას.

გემი „*Бабушка*“ ბათუმიდამ ფოთს მოდის კვირაობით და ოთხშაბათობით, ნაშუადღევის 2 საათზე. ბათუმიდამ გამოდის იმ დროს, რომელსაც დაჰნიშნავს ბათუმის საგენტო.

ფოთიდამ ბათუმს მიდის:: სამშაბათობით, დილის 9 საათზე, იმ გემს მიუსწრობს, რომელიც სუხუმზე გაივლის და ოდესაში მიდის.

შაბათობით: დილის 9 საათზე. ესეც იუსწრობს ოდესაში მიმავალს გემს.

# განცხადებანი


„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი . . . . . | „ | 40 |
| ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . . | „ | 40 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I, II და III ტომი თითო ტომი. . | 1 | 20 |
| იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი. . . . | 7 | „ |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 20 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| წყალობა პოემა მისივე . | „ | 20 |
| სურამის ციხე მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . | „ | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. . . . . | „ | 15 |
| ცდა I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. . | „ | 50 |
| სამი სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა . . | „ | 30 |
| ნაქვთები მოთხრობანი დ. ერისთავისა . . . . | „ | 50 |
| თორნიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა . | 1 | „ |
| კიკოლიას ნაამბობი, პოემა მისივე . . . . . | „ | 20 |
| პატარა-კახი ისტორიული დრამა ლექსად მისივე . | „ | 50 |
| საყმაწვილო ამბები მისივე | „ | 40 |
| ძმური სიტყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა. | „ | 25 |
| თამარიანი ლექსად ს. გუგუნავასი . . . . . . | „ | 50 |
| თამარიანი ლექსად რ. ერისთავისა . . . . . . | „ | 60 |
| თხზულ. რაფ. ერისთავისა II ნაწ. . . . . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი. თარ. ინგლ. მაჩაბლისა . . . . . | „ | 30 |
| ოტელო, თარგმანი ინგლისურიდამ მისივე. . . | „ | 50 |
| ძუნწი, საყმ წ. სურათ. წიგნი შ. მღვიმელისა . | „ | 15 |
| მეფე ლირი შექსპირისა, თარგმანი ი. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლისა . . | „ | 60 |
| საქართველოს მოკლე ისტორია მ. ჯანაშვილისა | 1 | 60 |
| საეკკლესიო ისტორია მისივე . . . . . . | „ | 45 |
| იავნანამ რა ჰქნა? საყმაწვილო მოთხრობა ი. გოგებაშვილისა. . . . | „ | 10 |
| საზოგადო მიწათ მოქმედება, თხზ. მ. ზაალიშვილისა. . . . . . | „ | 20 |
| საზოგადო ზოოტეხნია ანუ საქონლის მოვლა-მოშენება მისივე . . . | „ | 25 |
| საქართველოს დასურათებული კალენდარი 1892 წლის შედ. და გამოცემული ვ. გუნიას მიერ ფასი | „ | 45 |
| რამდენიმე მოთხრობა რაფფისა, ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით. . . . . . . | „ | 25 |
| სამი ცელქი, საყმაწვილო სურათებიანი წიგნი შ. მღვიმელისა . . . | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია ბაქრაძისა . . . . . | 1 | „ |
| ისტორიული ნარკვევი ალ. ჰყონიასი. . . . . | 1 | 50 |
| ქართული გრამატიკა არ. ქუთათელაძისა. . . . | „ | 40 |
| ქართული გრამატიკა თ. ჟორდანიასი . . . . | „ | 55 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| ლექსები ვახტანგ ორბელიანისა . . . . . . | „ | 20 |
| სურათი შ. რუსთაველისა | „ | 60 |
| წმ. ნინოს ხატი . . . | „ | 50 |
| გეომეტრია მ. ზ. ყოფიანისა, ნაწილი „ II სტერეომეტრია „ III უმდაბლესი გეოდეზია „ IV ზოგიერთი კანონები ტრიგონომეტრიის და „ V—ლოგარითმოსის ტაბლიცებისი . . . | „ | 50 |

დაიბეჭდა და იყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

## კრილოვის არაკები

ნათარგმნი თ. აკაკი წერეთლის მიერ

ფასი 30 კაპ.

ვინც ოცდათს ცალს ან მეტს იყიდის ერთად ნაღდს ფულზე, თითო ცალი 24 კაპეიკად დაეთმობა.

წერა-კითხვის სამმართველოში და ქართველთა ამხანაგობის მაღაზიაში ისყიდება

## ვაი მართალთა!

მოთხრობა ანტ. ფურცელაძისა, გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან, ფასი 30 კაპ.

## სომხეთა სასულიერო ნერსესიანის სემინარიის სამზრუნველო საბჭოში

1892 წლის 8 იანვარს, საღამოს 8 საათზედ, ვაჭრობა იქნება (ვაჭრობის განუმეორებლად) 18 ახლად აშენებულ სარდაფიან დუქნის იჯარის გასაცემად. ეს დუქნები სარდაფებითურთ იმყოფება პოლიციის მე-3 ნაწილში, მჭედლების ქუჩაზედ. იჯარის პირობათა შეტყობა შეიძლება სამზრუნველოს კანცელარიაში ყოველ დღე, კვირა-უქმე დღეებს გარდა, დილის 10-დგან 12 საათამდე. (3—1)

კერძო ექიმი

## პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონით: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნეკრესის სნეულებას, ნეკრესის ქარსა და კონტრაქტურას (ძარღვის ხასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთ.

ამას გარდა, სწამლობს დედათა სნეულებას და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილის ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, № 9, სახლი პაპოვისა.

(10—2)

## ა. რალლე და ამხ.

მოსკოვში

სასახლის იჯარადარი

—ახალთ-ახალი—

საპონი

მე-XX საუკუნისა
თეთრი იასამანი
ყაზანლიკის ვარდი
ყრუახისა
საიზნაურო

სუნელ. წყალი

ზამბახისა
სპარსეთის იასამანისა
თეთრის იასამანისა
მინდვრის ყვავილებისა
თათრულის თეთრის იისა

ვაზელინის საპონი—ვაზელინის პომადა

ისყიდება რუსეთის ყველა ქალაქში. პრეისკურანტი უსასყიდლოდ შეიძლება დაიბაროს მსურველმა. (5—3)

ეს გამოცხადება დამტკიცებულია „*Правит. Вѣстн.*“-ის 91 წ. 16 მარტის №-59-ში

„სარპინის ნაქსოვთა სამრეწველო ამხანაგობა“ სარატოვში

სეზონი 1892 წლისა—სარპინკა—სეზონი 1892 წლისა

ხელის საფეიქროსი, საკუთრად ამ ამხანაგობის ნაკეთობა პარიჟის უკანასკნელ მოდის ნიმუშების თანახმად.

ახალი—„სარპინკა-რელიეფი“—ნაქსოვი

ისყიდება მთელის ცალობითა და ადლობით, იგზვნება რუსეთის ყოველს ქალაქში. ნიმუშები საუცხოო ალბომით გაეგზავნება ყველას, ვინც 42 კაპ. წარმოადგენს ფოსტის მარკებით; მიწერ-მოწერა რუსულს ენაზედ უნდა იყოს.

ადრესი: *Саратовъ—Товариществу Сарпинокъ.*

(10—8)

## აბრეშუმის თესლეულობა

## ძმ. პასხალიდებისა

ბრუსსაში (ოსსალეთში)

ცელლიულიარული გრენა (აბრეშუმის ჭიის თესლი) ძმ. პასხალიდებისა

როგორც კავკასიის ბევრმა აბრეშუმის მაწარმოებელმა უწყის, ეს თესლი დიდად საღია და თითო მისხალი 35 გირვანქამდე შეუმუშავებელს თეთრს პარკს იძლევა. ისყიდება კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებაში და საბრეშუმო, სადგურში მუშტაიდში, დაბეჭდილის ოთხ-კუთხის ყუთებითა და თითოში რვა-რვა მისხალი თესლია; თითო მისხალი ჰღირს 75 კაპ. ვისაც ბლომად ჰსურს აბრეშუმის ჭიის თესლის ყიდვა, შეუძლიან მიჰმართოს ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 119, ძმათა პასხალიდებს. (6—4)

გრ. ჩარკვიანის სტამბასა და წიგნთ-საწყობში

ისყიდება ახლად დაბეჭდილი წიგნი

## მაცი ხვიცია

რომანი მეგრელთა ცხოვრებიდან

ანტონ ფურცელაძისა

წიგნი 342 გვერდია. ფასი 50 კაპ.

(5—4)


Дозв. ценз. Тифлисъ, 20-го Декабря 1891 г.

სტამბა მ. შარაძისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.